# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 128 ხუთშაბათი, 12 ივნისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.**

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 14 ივნისს, 1909 წ. **საღამოს 8½ საათზე,** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა:**

## „ქოჩრიანი ტოროლა“

პიესა 4 მოქმ. ვილდენბრუხისა, თარგ. ს. ტ—სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 13 ივნისს.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აღკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

## ლეჩხუმი სოფ. ლაშხეთი

ქუთაისის მეორე გილდის ვაჭარი ანტონ გ. მანაგაძე და ამხანაგობა ამით აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათ აიღეს იჯარით უგანათლებულეს თავად მინგრელსკის მამულში

## ლაშხეთის მადნეულის აბანოები,

## სადაც არის სასმელი მჟავე წყლები

## და რკინეულის საბანებელი წყლები,

რომლებიც მეცნიერებისაგან შემოწმებულია როგორც **უებარი წამალი კუჭის ტკივილისა, სისხლის ნაკლებობისა და ქარებისა.**

ქუთაისიდან არის რაჭა-ლეჩხუმის სამხედრო შარა გზა, რომელზედაც მუდამ დღე დადიან ეტლები, ლინეიკები, დილიჟნები და ტროიკები ს. ორბელამდე, საიდანაც ლაშხეთამდე 28 ვერსია ცხენით საველი. აბანოზე იშოვება რიგიანი ბინები, საბანებელი სახლი ვანით. ფასები ზომიერია. აქაური მჟავე წყლები მსურველებს შეუძლიანთ მიიღონ ქუთაისში ჩვენ ღვინის საწყობში, მიხაილოვის ქუჩა.

(2—კვ.—1) პატივისცემით **ა. მანაგაძე და ამხანაგობა.**

## სახაზინო თეატრი

შაბათს, 13 ივნისს

**ავადმყოფ მსახ. ს. სვიმონიძის სასარგებლოდ**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## სად მიხვალ?

დრამა 5 მოქმედებათ სენკევიჩის-სამარინისა, თარგმანი აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებს მთელი ამხანაგობა.

**ადგილების ფასი დაკლებულია.** **დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს.**

(5—4)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (75—99)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 85)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ბორჯომი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ქიქინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

(წლ.—6.—82)

## იყიდება

სოფ. **ხეთას** ზუგდიდში მიმავალ შარა გზასთან ერთ ფარგალში შემოკავებული სამოსახლო სააგარაკო

**მამული** ვენახით, ბაღით, დაფნის, აკაციის, წაბლის, რცხილის და სხვ. ტყით გარშემოვლებული. ეზოშივეა სახნავ-სათესი ადგილები და საცხოვრებელი ოდა. მამული ზომით 16—18 ქცევაა.

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთ“-ში და თვით ხეთაში ბეგლარ და თომა კობახიძეებთან. (3—კვ.—1)

## ქუთაისში

1 ივლისიდან გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი:

## „ვარსკვლავი“

გაზეთის ფასი იანვრამდე—3 მან., ერთი თვით 50 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები თვით რედაქციაში, ყვირილა—შორაპანში—პორფილე მელაძესთან; ზადგურ მუხიანში—უფასო სამკითხველოში. საჭიროა დაბა-ქალაქებში საიმედო აგენტები. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, редакція „ВАРСКВЛАВИ“, Балахванская ул. N 5, во дворѣ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე: Кутаисъ, редакція „Варсквлави“ Виссаріону Сопромовичу Чибурданидзе. (5—ფ.—1)

## ვყიდი

**ავადმყოფობის გამო ჩემს**

## ღვინის სარდაფს

საუკეთესოდ გაწყობილს, ავჭალისა და რეუტოვის ქუჩების კუთხეში, № 20. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ იქვე. იროდიონ ოქროაშვილი. (2—293—1)

## შპალიერი

## ძმ. ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმერეთის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6 12)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვრიჩის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—167)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**საზოგადოება**

## „განათლება“

ამით აუწყებს, რომ კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საზოგადოების წლიური კრება.

**განსახილველი საგნებია:**

1. გამგეობის მოქმედების მოხსენება.
2. ზედამხედველის მოხსენება.
3. სავარაუდო ხარჯი..
4. არჩევნები საპატიო და გამგეობის წევრებისა. (4—2)

## შემთხვევით

## იყიდება

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გრონზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა **„სინათლე“**-ში. (5—213—5)

კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა**

## წლიური კრება,

სადგილ-მამულო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქ.).

კრების საგანი: 1) ბ-ნ კაკაბაძის რეფერატი: „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა მე-18 საუკუნეში“; 2) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1908 წლისა; 3) შემოსავალ-გასავლის ანგარიში იმავე 1908 წლისა; 4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის და 5) ახალ წევრთა არჩევა.


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ოსმალეთის ფლოტი კუნძულ პრინკიპოზე დაბრუნდა იარაღის წასაღებად.

ოფიციალურის ცნობით, ადანის ვილაეთში გადამწვარა 4823 სახლი; აქედან 386 სახლი ოსმალებისა ყოფილა დანარჩენი—ქრისტიანებისა.

**ლონდონი.** სესხის ნაწილი ოსმალეთს ინგლისმა უნდა მისცეს. უკვე მოაწერეს ხელი და შეგროვდა ოთხჯერ იმაზე მეტი, რაც საჭიროა.

### სპარსეთი

**თეირანი.** თავრიზის ენჯუმენის მოთხოვნილებით, სპარსეთის პეტერბურგელ და ლონდონელ ელჩებს დაევალათ, მოითხოვონ, რომ რუსის ჯარი სპარსეთიდან გავიდეს. თეირანის გა-ნიზონის ჯარი მივიდა სალტანე-ტადაბის სასახლეში და თავისი ჯამაგირი მოითხოვა.

ყაზვინში მყოფმა კავკასიელმა ფიდაებმა მოითხოვეს, მეჯლისში ჩვენი განსაკუთრებული წარმომადგენელიც უნდა იყოსო, რადგან სპარსეთის კონსტიტუცია ჩვენის სისხლით იქმნა მოპოვებულიო.

### საზღვარ-გარედ.

**კუქსჰაფენი** (გერმანია). 9 ივნისს გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის, განაცხადა: „თქვენ ყველანი ინტერესით ადევნებთ თვალყურს ჩემს რუსეთში გამგზავრებას და იქ, ფინლიანდიის წყლებში, რუსის იმპერატორთან შეხვედრას. მე და იმპერატორი ნიკოლოზი თანხმობით მოვრიგდით. ჩვენი შეხვედრა ყველამ უნდა ჩასთვალოს მშვიდობიანობის განმტკიცების საქმედ. ჩვენ, ხელმწიფეები, პასუხის-მგებელნი ვართ უფლის წინაშე ყველაფერში, ჩვენი ხალხის როგორც ბედნიერებაში, ისე უბედურებაში. ყველა ხალხი მშვიდობიანობას საჭიროებს, რომ იმის მფარველობით მოუყაითად მიჰყოს ხელი დიად კულტურულ მუშაობას, ეკონომიურ და კომერციულ განვითარებას. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მშვიდობიანობის დაცვას და განმტკიცებასო“.

**რომი.** იტალიის დეპუტატთა პალატაში ცხარე კამათი მოხდა სოციალისტ მორგარიმ და გარეშე საქმეთა მინისტრის ტიტტონის შორის. მორგარიმ წინადადება შეიტანა, მთავრობამ იკისროს მეთაურობა კონფერენციის მოწვევის საქმეში. კონფერენციამ უნდა განიხილოს საკითხები სამედიატორო სასამართლოსა და იარაღის აყრის შესახებ. ამ სიტყვის დროს მორგარიმ გაჰკიცხა რუსეთის ხელმწიფე იმპერატორი. მორგარის პასუხი გასცა მინისტრმა ტიტტონიმ. მან სთქვა: „მორგარი სარგებლობს პალატაში დაწესებულ თავისუფლებით და ცხარე სიტყვებით ლაპარაკობს. მაგრამ თავის სიტყვის ერთ ადგილას იგი ზრდილობას გადასცდა (ცხარე ტაში მარჯვნივ, ხმაურობა მარცხნივ). სხვა პარლამენტებშიაც გამოუთქვამთ ხსენებული აზრი, მაგრამ არავის ისე შეურაცხყოფა არ მიუყენებია მეგობარ სახელმწიფოს მეფისთვის, როგორც ეს მორგარიმ ჩაიდინა (ხმაურობა მარცხნივ). მორგარის სიტყვებს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ. ამ სიტყვების გამო ჩემსავით პროტესტს აცხადებს პალატისა და ჩვენი სახელმწიფოს უმრავლესობა. საქმეში ჩახედულისთვის აშკარაა, რომ გარეშე პოლიტიკის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, სახელმწიფოთა ურთიერთობას რომ იმითი ვზომავდეთ, თუ რამდენად სიმპატიურად ან ანტიპატიურად მიგვაჩნია ამა თუ იმ სახელმწიფოს შინაური პოლიტიკა. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან. თუ რუსის ხელმწიფე იტალიაში მოვიდა, იგი სასურველი სტუმარი იქმნება. იტალია მიიღებს ხელმწიფეს და მიეგებება, როგორც მეგობარ სახელმწიფოს მეთაურს. მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ მას მუქარისა არ ეშინიან. ჩვენ ყურადღებას არავის მივაქცევთ და ჩვენ მოვალეობას ავასრულებთ. მთავრობა ვერ მიიღებს მორგარის წინადადებასაო“. დეპუტატებმა მიულოცეს მორგარის ამ სიტყვის წარმოთქმისთვის. კრება დაიხურა.

**ლონდონი.** 9 ივნისს ვესტმინსტერის სასახლეში საერთაშორისო კავშირის ინგლისის ჯგუფმა საუზმე გაუმართა სტუმრად მოსულ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს. თავმჯდომარეობდა ლორდი უერდელი. წარმოსთქვეს სადღეგრძელოები ინგლისის მეფისა და რუსეთის იმპერატორისა. შემდეგ სათათბიროს წევრები დაესწრნენ პალატის სხდომას. საღამოთი გაიმართა სადილი. სიტყვა წარმოსთქვა ასკვიტმა. მას პასუხი გასცა ხომიაკოვმა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბალფურმა, ეფრემოვმა, ზვეგინცევმა და სტახოვიჩმა.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა მიიღო კანონ-პროექტი, ამ კანონ-პროექტის ძალით იმ უძრავ ქონებას, რომლის ფასიც აიწევს, ახალი გადასახადი უნდა დაედოს. კანონ-პროექტს მხარი დაუჭირეს მემარჯვენეებმა, ცენტრმა და პოლონელებმა.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ ბიუჯეტის განხილვის დროს უარჰყო ოპოზიციის წინადადება, რომ თუ ქონების ფასმა აიწია, ახალი გადასახადი დაწესდესო. შემდეგ ფინანსთა მინისტრმა წინადადება შეიტანა, კამათი გავათავოთო. პალატაში ამის გამო ცხარე ლაპარაკი გაიმართა. ოპოზიციამ პროტესტი განაცხადა—ასეთი მოქმედება ძალმომრეობააო. ფინანსთა მინისტრის წინადადება მაინც მიიღეს.

**სანკტგალენი.** 9 ივნისს, საღამოთი, როდესაც ბრიუგვალდის ტუნელში ცხარე მუშაობა იყო, მიწა ჩამოწვა. ფიქრობენ, რომ მიწამ 8—10 მუშა დაიტანა. მათ გადასარჩენათ ზომები მიიღეს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შესდგა კომისია, რომელიც გამოარკვევს რუსეთის ყველა ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობას. უნდა გაიგონ, რომელ ქალაქს რამდენი ფული უნდა მიეცეს პოლიციის შესანახად.

დღე-ღამეში პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 75, გარდაიცვალა 19 კაცი; პეტერბურგის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1 კაცი.

**კიევი.** გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება. ამ დადგენილების ძალით კიევ-სარნის ლიანდაგის გაყოლებაზე სამი ვერსის მანძილზე უპასპორტოებს და იმათ, რომელთაც პოლიცია არ იცნობს, აეკრძალათ გავლა-გამოვლა. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, იგი დაჯარიმებულ იქნება 500 მანეთამდე ან დაპატიმრებული იქნება სამ თვემდე.

**რიაზანი.** გორლოვის საზოგადოებაში დიდი სეტყვა მოვიდა. სეტყვამ მოჰკლა 150 და დაშავდა 300 ცხვარი. გააფუჭა ნათესი. ზარალი 300,000 მანეთამდეა.

**ხარკოვი.** სინელნიკოვში დააპატიმრეს რკინის გზის მოსამსახურეთა და კერძო პირთა ჯგუფი, რომელიც მატარებლიდან ძვირფას საქონელს იპარავდა.

**კიევი.** დაიწყო სრულიად რუსეთის ფერშალთა კრება. კრებას ესწრობა 400-მდე დელეგატი.

**ჰელსინგფორსი.** 9 ივნის საავადმყოფოდან გამოსწერეს ინგლისის გემ „ვუდბერნ“-ზე დაჭრილი კაჩეგარი. კაჩეგარი ინგლისურ გემით ინგლისში გაჰგზავნეს.

**ლოძი.** სამხედრო წესების მაგიერ ქალაქ ლოძსა, ლოძის და ლასის მაზრებში 6 თვით განსაკუთრებული წესები შემოიღეს.

**კერჩი.** პოლიცმეისტრის გარინის დათხოვნი შემდეგ დაინიშნა საპოლიციო სამმართველოს რევიზია.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ კათალიკოსის ჩამოსვლა.** გუშინ დონის ნახიჩევანიდან დეპეშა მიუღია სომეხთა კათალიკოსის მიმღებ კომიტეტს, რომ კათალიკოსი ტფილისში ჩამოვა კვირას, 14 ივნისს, დილის 10 საათზეო.

**✦ კათალიკოსის მიღება.** როგორც აღვნიშნეთ, ტფ. საგუბერნიო მთავრობამ ნება არ დართო ქალაქის საბჭოს განეხილა გ. გევის მოხსენება სომეხთა კათალიკოსის ოფიციალურად მიღების შესახებ ტფილისში. ამის გამო 9 ივნისს კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა ქალაქის მოურავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი. ბაქოს გაზეთების სიტყვით, ნამესტნიკსაც არ დაურთავს ნება კათალიკოსის ოფიციალურად მიღებისა.

**✦ რევიზია კავკასიაში.** რუსულ გაზეთების სიტყვით, ამ ცოტა ხანში უნდა მოხდეს რევიზია მთელ კავკასიის საკონტროლო და სახაზინო პალატების, ბანკებისა და ხაზინების. აზრადა ჰქონიათ ამ დაწესებულებებში ცვლილებანი შეიტანონ და რევიზიას ამასთანა აქვს თურმე კავშირი.

**✦ მიწის-ძვრა გურიაში.** 8 ივნისს, შუაღამისას, გურიაში, როგორც გვატყობინებენ, ძლიერი მიწის-ძვრა მომხდარა. ხალხი შეშინებულა, თუმცა უბედურება არა მომხდარა-რა.

**✦ პრესის წარმომადგენელნი.** ზოგიერთ სომხურ ჟურნალ-გაზეთებს გადაუწყვეტიათ კათალიკოსის დასახვედრად წარმომადგენლები აირჩიონ. წარმომადგენლებად აირჩიეს ბ-ნნი ერვანდ ლალაიანი და ტიგრან ლალაიანცი (გ.).

**✦ ახალი ჟურნალი.** შაბათს, 13 თიბათვეს, ტფილისში სომხურ ენაზე გამოვა ახალი იუმორისტული ჟურნალი „ზურნა“.

**✦ ფოსტა-ტელეგრაფის ახალი უფროსი.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად, ლინდენის ადგილას, დაინიშნა თურქესტანის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე მუსელიუსი (ტ. ლ.).

**✦ კიდევ ხორცის დუქნებზე დახარჯული ფული.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ 6—7 წლის წინად ქალაქის გამგეობამ 100,000 მანეთამდე დაბანდა ხორცის დუქნებზე. რამდენი ხანია, ამ ფულის ანგარიშსა სთხოვენ იმათ, ვისაც საქმე ჰქონდა ჩაბარებული, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ. ბოლოს საბჭომ სარევიზიო კომისიას გადასცა მთელი საქმის შესწავლა და

ხარჯების შემოწმება. სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა რაღაც მიზეზისა გამო გვიანდება.

**დუხაბორების დაბრუნება.** როგორც იუწყებიან, უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს კავკასიიდან და რუსეთიდან ამერიკაში გადასახლებულ დუხაბორებისთვის ისევ დაბრუნდნენ კავკასიაში.

**პარკის ფასი.** ამ ბოლო დროს გურიაში დიდი წვიმებია თურმე. წვიმებს აბრეშუმის ჭიის მუშაობა შეუფერხებია. ამის გამო ბაზარში ჯერ-ჯერობით ცოტა პარკი გაუტანიათ. პარკი ლანჩხუთში ფასობს 13 მანეთად, სამტრედიაში—14 მან. ეხლა რაღაც „პატენტებიც“ (ასე ეძახიან) დაუწესებიათ, რაშიაც პარკის პატრონნი ფულს იხდიან.

**მტკვარში გადავარდნა.** ნიკოლოზის ხიდიდან 10 ივნისს საღამოთი ვიღაც კაცი მტკვარში გადახტა, ალბად თავის დასახრჩობად. უცნობს ჩაეშველნენ და გადაარჩინეს. ვინაობა ჯერ გამოურკვეველია. ამავე დღეს გლეხი ივანე ჩესტაკო გადავარდა მტკვარში, მაგრამ ისიც გადაარჩინეს. მიზეზი უსახსრობა ყოფილა.

**მოკლული.** ვოგზლისა და ანდრეევის ქუჩების შესართავთან 10 ივნისს საღამოთი დააპატიმრეს უცნობი კაცი. როდესაც იგი ჯარის-კაცებს ანდრეევის ქუჩით მიჰყავდათ, უცნობი მოულოდნელად გაქცეულა ჯარის-კაცები გამოსდევნებიან უცნობს. გაფრთხილების შემდეგ თოფები უსროლიათ და იქვე მოუკლავთ. მოკლულს პასპორტი არ აღმოსჩენია. პოლიციის ცნობებით, მოკლულისთვის ჯიბეში უნახავთ ქაღალდის ნახევარი, რომელზედაც ყუმბარების მოსამზადებელი რეცეპტი ყოფილა დაწერილი. მოკლულის ვინაობის გამოსარკვევად გამოძიებას შეუდგნენ,

**თავხედი ნოქრები.** მრავლად არიან ტფილისში ისეთი ვაჭბატონები, რომელნიც სარგებლობენ გლეხების უვიცობით და ათას სისაძაგლეს სჩადიან. 10 ივნისს პოლიციის მე-8 ნაწილში, ხოსროევის ქარვასლაში ტერ-გალუსტიანცის სამანუფაქტურო მაღაზიაში მისულან მთიდან ჩამოსულები—გიორგი ვეშაგურიძე, ახალა ნადირაძე, თევდორე ბერძია და საადარ ჭუნჭაური. მათ გალუსტიანცის ნოქრების მელკუმ გრიგორიანცისა და არტაშეს ალაბაჯიანისათვის უკითხავთ: თუ-ფე-ს პატრონებო ხომ არა გაქვთ გასასყიდი, ან ხომ არ იცით, სად ჰყიდიანო. გაიძვერა ნოქრებს ვითომდ ბედ გამოურთმევიათ ორი მანეთი და მერე მთიელნი შეუყვანიათ ერთს ოთახში, კარები გამოუკეტიათ და ზედ კლიტე დაუდვიათ. მთიელნი ორ საათს ყოფილან დამწყვდეულნი და მერე რაკი მიმხვდარან ეშმაკობას, ყვირილი აუტეხნიათ. ბოლოს ხსენებულ ნოქრებს კარი გაუღიათ და დაპატიმრებულები გაუნთავისუფლებიათ, ხოლო თითონ მიმალულან. პოლიციას ორივე თავხედი ნოქარი დაუპატიმრებია.

**გამხრწნელი.** 10 ივნისს ტფ. მოქალაქემ, კ. რაკლისის ქუჩაზე მცხოვრებმა ს. ა—მ. პოლიციას გამოუცხადა: აპრილში პუშკინის ქუჩაზე ხორცის დუქნის პატრონმა გეურქ ჯავახოვმა მიიწვია ჩემი 16 წლის ქალი ვითომდა მის ავადმყოფ ცოლის მოსავლელად, როდესაც ქალი მივიდა ჯავახოვის სახლში, ამ უკანასკნელმა ძალით ნამუსი ახადადა ჯავახოვი სიკვდილით დაემუქრა, თუ ამ ამბავს გაამხელდა სადმეო. ჯავახოვი პოლიციამ დააპატიმრა.

**ექსკურსანტების ხელმძღვანელობა.** ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ქალ. სასწავლებელთა კომისიის მდივნის ქ-ნ ჩიკალინის თავმჯდომარეობით შესდგა მოხელეთა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სხვა და სხვა ადგილებიდან ტფილისში მოსულ ექსკურსანტებს.

**ოთხშაბათს, 10 ივნისს,** ნაძალადევში დააპატიმრეს ყიდრინსკის მაზრის მცხოვრები ივანე ლევინი, რომელსაც 1905 წლიდან დაეძებენ. ამავე უბანში დააპატიმრეს მიხეილ ტიუვანოვი, რომელიც ტფილისიდან გაძევების შემდეგ ისევ დაბ[რ]უნებულა.

● ამას წინად ქალაქის საავქციონო ზალის გამგემ განასაჩივრა ქალაქის გამგეობაში მოქმედება საავქციონო მოხელის ორლოვსკისა, რომელმაც ზალის გამგეს ნება არ დართო ღვინის გაყიდვისა ზალაში საავქციონო გადასახადის გადაუხდელად. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს მოხსენება და უშედეგოდ დასტოვა, რადგან ორლოვსკის მოქმედება კანონიერად იცნო.

● 10 ივნისს, უბილდინის ქუჩაზე ტფ. მცხოვრების მეუნაგრის გიორგი პარიკამვილის სახელოსნოში შეხულა ტფ. მოქალაქე ალექსანდრე სარუხანოვი, თოფის მკეთებელი, და ჩხუბი აუტეხია მარიკამვილისთვის. სარუხანოვმა რევოლვერი ესროლა პარიკამვილს და გვერდში დასჭრა. დაჭრილმა პარიკამვილმა სტაცა ხელი დანას და სარუხანოვი კისერში დასჭრა. ორივენი დააპატიმრეს, იარაღი ჩამოართვეს და მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. სარუხანოვს ნება არა ჰქონია იარაღის ტარებისა.

## ფრინველის მოშენება და გამოფენა გორში

თითქმის ყოველ დღე ჩაგვჩიჩინებენ, კავკასია და მეტადრე საქართველო მეურნეობის ქვეყანაა, მეურნეობა შეადგენს ხალხის ცხოვრების უპირველეს სახსარს, მაგრამ იგი ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული და აყვავებული, გვაკლია ცოდნა, გამრჯელობა და ფულიო. ყველაფერი ეს მართალია. სიმართლეა ისიც, რომ ჩვენი ხალხი ცოტა მძიმე და ყურმიგდებულია, ძნელად შეაქვს თავის საქმიანობასა და ცხოვრებაში თანამედროვე საჭირო განახლება. მაგრამ ნათქვამია—„ამდენა მგელთა ყმუილი უამბოთ არ გადასწყდებაო“, ჩვენმა ხალხმაც თუმცა დინჯად, მაგრამ მაინც დაიწყო მეურნეობის ზოგიერთ დარგის განახლება. ასე ხდება, მაგ. მევენახეობაში.

ამ ჟამად მინდა მოგელაპარაკოთ ფრინველის მოშენებაზე. საბაბიც არის: ეხლახან გორში გამოფენაც გაიმართა.

დაწინაურებულ ქვეყნების სასოფლო-მეურნეობაში ფრინველის მოვლა-მოშენებას საპატიო ადგილი უჭირავს. არც საკვირველია: ეს დარგი მეურნეობისა ძალიან ხელმისაცემია, ვინც ცოტა რიგიანად და მუყაითად მოჰკიდებს საქმეს ხელს. ფრინველს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში. ფრინველი შენდება, სცხოვრობს და ხეირობს ისეთ ადგილებშიაც, სადაც სხვა დარგი მეურნეობისა სულ ვერა ხეირობს. ამტკიცებენ, რომ სადაც ფრინველი ცოტაა, იქ ადამიანს მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგიც ვერ მოუყვანია, რადგან მას აკლია ფრინველთა შეუმჩნეველი, მაგრამ ნამდვილი დახმარება თანამშრომლობა. ბუმბულიდან დაწყებული, ფრინველის ხორცი, ძვალი, კვერცხი და თვით განავალიც მთელი სიკეთეა და სიმდიდრე ადამიანისთვის. მისგან შეწუხება და ხარჯი კი სათქმელიც არ არის სარგებლობასთან შედარებით, და აი ასეთ დარგს მეურნეობისას ჩვენი ხალხი, არა თუ თვითონ არ აქცევს ყურადღებას, დასცინის იმათაც ვინც ამ საქმის რაციონალურად შესწავლას და მოწყობას განიზრახავს.

ევროპაზე არას ვიტყვი და თვით ჩამორჩენილ რუსეთშიაც ფრინველის მოშენებას კარგა ხანია მიაქციეს ყურადღება და დაარსეს მრავალი შესაფერისი საზოგადოება. ასეთია მაგ., რუსეთის ფრინველის მომშენებელი საზოგადოება, რომლის განყოფილებაც რამდენიმე წელიწადია ტფილისშიაც არსებობს. ტფილისის განყოფილებას აზრადა აქვს ხელი შეუწყოს ტფ. გუბერნიაში ფრინველის მოშენებას, მისი ჯიშის გაუმჯობესებას. თავმჯდომარედ არის ა. ი. დრბოგლავი (ველიკოკნიაჟევსკის ქ., № 32). განყოფილება შესდგება საპატიო, ნამდვილ და თანამოაზრე წევრთაგან. ნამდვილი წევრნი იხდიან წელიწადში ხუთ-ხუთ მანეთს და იღებენ ჟურნალს «Птицеводное хозяйство»-ს. აი ამ განყოფილებამ გამართა წარსულ მაისის 24—25 რიცხვებში გორში პირველი მოძრავი საფრინველო გამოფენა (წინად ტფილისშიაც გაიმართა გამოფენა).

გამოფენა, როგორც პირველი და ნორჩი, ამასთან უღონო საზოგადოების მიერ გამართული, ფრიად მოსაწონი გამოდგა.

გამოფენილი იყო სულ უცხოეთის ჯიშის ფრინველი. გამოფენა შესდგებოდა ორის განყოფილებისაგან: 1. შინაური ფრინველი და 2. ფრინველის მოსავლელ-მოსაშენებელი იარაღიხელსაწყო და ლიტერატურა. პირველი განყოფილება კიდევ რამდენსამე ნაწილად გაიყოფებოდა: სახორცესაკვერცხე ჯიშის ფრინველი, მარტო სახორცე ჯიშისა, მარტო საკვერცხე ჯიშისა და სხვა. პირველი ჯიშის ქათმის ხორცი უმაღლეს ღირსებისაა; მამლები იწონიან 10—12 გირვანქამდე, დედლები 12 გირვან. სდებენ წელიწადში 150—180 კვერცხამდე. თვით ფრინველი ძალიან მძლე და ყინვის ამტანია.

მარტო სახორცეს ჯიშის წიწილა იზრდება ძალიან სწრაფად, საშუალო წონა მოზრდილ მამლისა 10 გ., დედლისა 8 გ., კვერცხსა სდებენ წელიწადში 150—მდე. საკვერცხე ჯიშის ქათამი სდებს წელიწადში 200 კვერცხზე მეტს ძალიან მსხვილ და წმინდა თეთრს კვერცხს. წიწილები იზრდება და იმოსება სწრაფად. დედლები ამ ჯიშებისა არას დროს არა კრუხავენ და სჩეკავენ.

გორის გამოფენას ორივე ღღეს ხალხი ბლომად დაესწრო. მხოლოდ, სამწუხაროდ თვალი ვერ მოვკარით მდაბის წრეებს და სოფლელ გლეხობას. გამოფენას ეხვეოდნენ ინტელიგენცია და სამხედრო პირნი. სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ ამათგანი ბევრი წავა სოფლად, იქ დაიწყებს მუშაობას და სოფლელებს მაგალითს მისცემს.

ლექციებიც თუმცა იკითხებოდა, მაგრამ მხოლოდ რუსულად, უსისტემოდ; ხალხმაც არ იცოდა, როდის და რომელ საათზე წაიკითხავდნენ და თუ ვინმე რამე, გაიგონა მხოლოდ შემთხვევით და კანტი-კუნტად. თუმცა ვიღაც ქართულადაც სცდილობდა აეხსნა, მაგრამ მისმა გადმოცემამ სრულებით ვერ დაკმაყოფილდა ხალხი. ასეთ ადგილებში ლექციები უეჭველად უნდა ადგილობრივ ენაზე იკითხებოდეს და სპეციალისტების მიერ. ლექციებისთვის ადგილიც უფრო მოხერხებული უნდა, თორემ გორში ლექტორი ერთი იყო და მოყივანე მამალი-კი სამოცი, ასე რომ სულ არა ისმოდა რა, მეორე რიგშიაც კი. უნდა ეცნობოს სოფლებსაც და უეჭველად თითო-ოროლა გლეხ-კაციც გამოიწვიონ ყველა სოფლიდან და თუ შეიძლება უფასოდ აჩვენონ და აუხსნან ყველაფერი.

ფრიად საკვირველად და გასახარად დაგვრჩა ის, რომ გორის სხვა ყველაფერში გულგრილმა საზოგადოებამ ამ ღირსეულ საქმეს არა ჩვეულებრივი ყურადღება მიაქცია. ყველაფერი რაც კი რამ გაიყიდებოდა—კვერცხი, წიწილა, მაშინა, ლიტერატურა,—სულ ერთიანად გაიყიდა და ძალიან ბევრადაც. თითო კვერცხი 25 კაპეიკად იყიდებოდა, თითო ვარია 2-3 მანეთად და სხვა. გამოფენის გამართვას ხელი შეუწყო და დახმარება გაუწია გორის მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლმა თავ. თუმანიშვილმა და მაზრის უფროსმაც.

პატარა შენიშვნა. თუმცა, როგორც საჭირო იყო, საშუალება არა მქონდა შემესწავლა და დამეფასებინა ინკუბატორები, მაგრამ მაინც ეჭვი მაქვს, რომ ეს ინკუბატორები მყარი კონსტრუქციისა იყოს და ხელმისაცემი გამოდგეს. არის უკეთესი ნაკლებად რთული კონსტრუქციის ინკუბატორები, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით გამოფენაზე მათი მოხელეები არა სჩანდა.

გული გიღელდება ბოლოს იმაზე, რომ არც ერთ ქართველისაგან არა იყო რა გამოფენილი, თითქოს ისინი ჩვენში არც კი არსებობდნენ. ჩვენებური ქათამიც-კი არ იყო გამოფენილი.

**ქართველი სპეციალისტი.**

## მოწერილი ამბები

**სურამი.** დადგა ზაფხული და სურამიც გამოერკვა სიღათის ძილისაგან. მოაგარაკეთა მოლოდინში, სურამის მცხოვრებნი ამოძრავდნენ, ვინაიდან ზაფხულისაგან ბევრ რამეს გამოელიან. სახლის პატრონები ამშვენიერებენ აგარაკებს, ვაჭრები აღებენ სულ ახალ სავაჭროებს. ერთის სიტყვით, დიდი ცვლილება ეტყობა სურამის ყოველდღიურ ცხოვრებას. საერთო ფერხულს არ ჩამორჩნენ პარკის პატრონებიც, რომელნიც მსუქან საჯილდოს მოლოდინში დაფუსფუსებენ პარკს. მაგრამ ადგილობრივი პარკი, თუ არ გადიდდა და არ გამშვენიერდა, ვერავითარ კმაყოფილებას ვერ აგრძნობინებს მოაგარაკეთ მტვრის ყლაპვისა და მოწყენილების მეტს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცოტა ხანი არ არის, რაც სურამს საზაფხულოდ ხალხი ეტანება, მაგრამ სახეირო სასეირნო ბაღი მაინც ვერ მოუწყვიათ. მოაგარაკე აქ ბევრი მოვიდოდა, რომ რამდენიმე ნაკლი არ აფერხებდეს საქმეს. ჯერ არის და ღამ-ღამობით ქუჩაში არ [illegible], რადგან აქა-იქ [illegible] — ფარნები საკმაო [illegible] [illegible] სურამში, რადგან ამ საქმეზე საგრძნობელ ფულს გადასდებენ ხოლმე. მაგრამ სურამის ცუდო ჰქონდეთ ეგრედ წოდებულ მთავრობის მამასახლისებს! დაღოცვილი ვინც კი მოვიდა, „კაი“ გზა უჩვენა რის ვაივაგლახით შეგროვილ ფულს. ჯერ ხერხეულიძე იყო აქ; მას მოჰყვა გეზირიშვილი; შემდეგ დანიშნეს ფალავანდიშვილი... ახლა კი უიფიანია. ვნახოთ ახალი ცოცხი როგორ დაჰგვის, ეს კი უნდა შევნიშნოთ, განათებას ვერა ეშველა-რა.

განათებაზე არა ნაკლებ აფერხებს საქმეს ქუჩის დაუგველობა. საკმაოა პატარა ქარმა დაჰბეროს, რომ კორიანტელი დასდგეს და გაჭირდეს კარში გამოსვლა. ესეც მამასახლისების უთავბოლობის და საქმისადმი გულგრილობის ბრალია.

ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალებს სძინავთ ან დროს ბანქოში და ქეიფში ატარებენ. ვთქვათ, როგორც „ინტელიგენტო“, არ „შეჰფერით“ ქუჩებზე, განათებაზე ზრუნვა, კულტურული საქმე ხომ უდევველია! თუ კი სურამში მოიპოვება რაიმე ნასახი კულტურულ დაწყებისა, მეტად საცოდავ მდგომარეობაშია. ავიღოთ თუნდა დრამატიული საზოგადოება. წესდება, სადაც ჯერ არს, დაამტკიცეს, თანხაც საკმაოდ შეაგროვეს, საქმე კი არა სჩანს. გასაკვირველი ბევრია, მეტადრე ისეთ დაბაში, სადაც ღოთობა და ბანქო ერთად-ერთ გასართობად ითვლება. ეგეთეს მდგომარეობაში არც წიგნთ-საცავია. წარმოუდგენელია ის გონებრივი ინდიფერენტიზმი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ ეტყობათ. მოზდილ დაბაში უბრალო სამკითხველოც არ არის. როგორც ვიცით, რამდენიმე წლის წინად აქ სამკითხველო არსებობდა, რომელიც რეაქციის დროს დაჰკეტეს. სამკითხველოს გახსნის ნებართვა არც ისე ძნელია, მაგრამ სურამელები ამაზე თავს არ იცხელებენ.

აქაურ პროგიმნაზიაში უკანასკნელი ეგზამენები 6 თიბათვეს დასრულდა. მომავალ სამოსწავლო წლიდან პირველი კლასი იხსნება; ქონებრივად კი პროგიმნაზია გაჭირვებულია. ნუ თუ სურამელებს იმდენი არ შეუძლიათ, რომ ერთი სასწავლებელი შეინახონ?

სოფლელები ბოლო დრომდე ძალიან ცუდ გუნებაზე იყვნენ. ზაფხული ისე

# ტფილისიდან ჯულფამდე

**ერთის თვალის გადავლებით.**

(მგზავრის წერილები*)

მდინარე არეზს რუსები, როგორც ვიცით, არაქს ეძახიან. სადგურისათვის არაქსი იმიტომ დაურქმევიათ, რომ ამ ადგილიდან სწორედ არეზის სამფლობელო იწყება, ხრიოკი ადგილები წყლის და კარგ ნიადაგის შემწეობით მწვანე მინდვრებად და ბაღ-წალკოტებად იცვლება. თვით მდინარე არეზი სადგურიდან ჯერ კიდევ შორს არის. მდ. არეზამდე აქედან თუთხმეტ-ოც ვერსამდე იქნება. ასევეა სადგურები ალაგეზი, ანი, ეჩმიაძინი, არარატი—არც ერთი ჩამოთვლილი ადგილები სადგურის მახლობლად არ არის.

არეზის ზემოხსენებული ველი ყოველ მხრივ შემოზღუდულია მაღალის მთებით. ეს ველი ერთ საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს მთელ ერევნის გუბერნიაში. ნიადაგს მოთეთრო, ფერფლის ფერი ადევს და საკვირველიც არ არის, რადგან სწორედ ფერფლი უნდა იყოს. ამ დაბლობის ნიადაგი უნდა შემზადებულიყოს იმ დროს, როცა ჩრდილოეთით ალაგეზი, ხოლო სამხრეთით არარატი უხვად აფრქვევდნენ ფერფლს და ერთ მშვენიერ დღეს იქნება კიდევ გაიმეორონ კარგა ხნით მივიწყებული მოქმედება. მაშასადამე, არეზის ველის ნიადაგი ვულკანისაგან ამონაფრქვევი ფერფლია და, რაღა გასაკვირველია, რომ ძლიერ ნაყოფიერი იყოს. მართლაც, მთლად ეს ველი ერთ განუწყვეტელ ბაღ წალკოტს და სახნავ-სათესს მინდორს წარმოადგენს. აგერ სქლად ბიბინებს თვალ უწვდენელ სივრცეზე ფირუზივით მწვანე ხვარბლის ჯეჯილი, იქ რაღაც ათასფრად დაღარული, სუფთად გადაფარცხული ადგილი მოსჩანს. ზოგან დაღარულ ნახნავზე სარწყავი წყალი მიუშვიათ და მთლად წყლით დაუფარავთ. ეს გახლავთ ბრინჯის სათესად გამზადებული ნიადაგი. ბევრი შრომა სჭირდება ამ ბრინჯს. აგერ წყალში ჩამდგარა მუხლამდე ფეხ-შიშველა ჭაღარა გლეხი და რწყავს მინდორსა. არა ვგონებ, ამ მარტის დამლევს მაინც და მაინც დიდ სიამოვნებას ჰგრძნობდეს ამ ძალა უნებურ ჰყუმპალაობით, მაგრამ სხვა გზა არ არის, ასე რომ არ მოიქცეს, ფლავსაც ვერ მიირთმევს.

აქაურ ნიადაგს ძლიერ ხელს უწყობს წყლის სიუხვე. ჯერ ველის შუაგულში მიიზლაზნება თვით არეზი; ყარადაგის მთებით შევიწროებული აქ ფართოდ იშლება და უანგარიშო არხებია გაყვანილი აქეთიქით მინდვრების მოსარწყავად. ჩრდილოეთიდან ჩამორბის მდინარე ავარან-სუ, რომელიც ეჩმიაძინს დასავლეთით ჩაუდის. ავარან-სუს შესართავიდან შვიდი რვა ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით, არეზს ერთვის ზანგა. ზანგა გამოდის გელაქნურის ტბიდან. ეს ის ზედმეტი წყალია, რაც გოკჩის ანუ გელაქნურის ტბაში არ ეტევა და მდინარე ზანგის სახით ტბიდან გადადის. ერევნის ქვემოდ მდინარე დინჯდება. აქედანაც ბევრი სარწყავი არხია გაყვანილი ზანგის შესართავიდან აღმოსავლეთით 6—7 ვერსის მანძილზე, არეზს ერთვის გიარნი-ჩაი, რომელიც გამოდის ახალ-ბაიაზეთის დასავლეთით ხრიოკ მთებიდან.

სამივე ჩამოთვლილი მდინარე წყლით საკმაოდ უხვია. ავარან-სუ და გიარნი-ჩაი ლიახვს არ ჩამოუვარდებიან, ზანგი თითქმის არაგვსაც დაეტოლება. ამ ჩამოთვლილ მდინარეთაგან გაყვანილი არხები და არეზის არხები ერთმანეთშია თითქმის შერეული და ამიტომ მთლად ეს მიდამო ერთ ვრცელ არხთა ბადეს წარმოადგენს. ამიტომაც მთელ ერევნის გუბერნიაში ყველაზე უფრო სქლად ეს ადგილია დასახლებული. აქ დიდი სოფლები ზედი—ზედ მოსდევდა ერთმანეთს. ბუნებრივი ტყე აქ არის მხოლოდ. აქაიქ მოსჩანს ხელოვნურად გაშენებული ალვის და ვერხვის ტყესავით რაღაცა. სამაგიეროდ სოფლები შემორტყმულია მშვენიერის ბაღ-წალკოტებით და ზვრებით. აქაური ხილი ხომ განთქმულია. რკინის გზის შემწეობით აქაურ ატამს ქალაქშიაც ვგემობთ.

აქაური ზვრები თავისებურია. ვაზი მიწაზეა გაშლილი. ვის გაუგონია ან ჭიგო, ან სარი. მაღლარისა ხომ ხსენებაც არ არის. ვენახს ეტყობა ძლიერ უვლიან. ყოველი ძირი სუფთად გასხლილი ცალკე ოთხ-კუთხედ, დაბარულ, გათოხნულ და მწვანილის სათეს დაღდაგივით გამზადებულ ალაგზეა გაწოლილი. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, საითაც-კი მიიხედავ, ყველგან დამუშავებულ ადგილს ჰხედავ. ერთ ნაჭერს ვერ იპოვნი, რომ კაცის ნაოფლარი არ ეტყობოდეს. კაცი შრომას არ ზოგავს, სამაგიეროდ ბუნებაც, როგორც ეტყობა, ერთი ორად აჯილდოებს. ვიმეორებ, ამ ველის მობიბინე სადი ჯეჯილი ახლაც თვალ წინ მიდგა.

ამ ადგილებში ერთი ხალხი არა სცხოვრობს. აქ ერთმანეთში არიან არეულნი ქურთები, სომხები, თათრები. ამიტომაც ერთგან რომ სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი (აღდგომა იყო) საყდრისაკენ მიეშურებოდა, იქვე ქურთი ან თათარი, ხელ-ფეხ წაკაპიწებული, ან ბრინჯს რწყავდა, ან უღელ კამეჩ შებმულ იმერულ კავის მსგავს სახნისით დიკა პურის ადგილს ხნავდა. მაგრამ ერთი დიდი ნაკლი-კი აქვს ამ დიდ ველს, ნიადაგი ნოტიო და ციებ-ცხელებიანია, თუმცა ერთი წერტილიც არ მოიძებნება აქ, რომ ტფილისზე ასი საჟენით მაინც უფრო მაღალი არ იყოს. არხები და ბრინჯის ყანები ხელს უწყობენ ციებ-ცხელებას.

დავიძარით სად. არაქსიდან. ფანჯარას არა ვშორდები. მარჯვნივ კარგი სანახავებია. მარცხნივ კიდევ უკეთესი. ზოგან ისე რიგზეა ჩამორიგული ალვის ხეები და ისე ხშირად, რომ ჩემი თავი სამეგრელოს სოფელ ხორგაში მეგონა. მხოლოდ ხორგას ირგვლივ უდაბური ტყე არტყავს, აქაურ სოფლებს-კი ირგვლივ თვალ-უწვდენელი ველი შემოჰრტყმია. ზოგან სოფლებში კარგ სახლებს შეჰხვდები. არჩევ ფანჯარას, ბუხარს. მომეტებულ ნაწილად-კი ქოხ-მახებია, ჰიანჭველის ბუდესავით ერთმანეთზე მიყრილი. სომხებისა და თათრების სოფლებს შორიდანვე გაარჩევ. რამდენადაც პირველი სუფთა და შნოიანია, იმდენად მეორე უშნო და უსუფთაო. საშენ მასალად აქ თიხას ხმარობენ, კედლებიც თიხისაა, სახურავიც, გალავანიც. სადაც მიიხედავ, სულ თიხაა. მოსაწყენი ერთფეროვანებაა. სოფლებში ბევრგან ნახავ თიხისაგან აშენებულ კოშკის მსგავს რაღაცას. მისი მნიშვნელობა დანამდვილებით ვერავინ ამიხსნა. ზოგმა მითხრა საბძელიაო, ზოგმა საყარაულოო, ზოგმა კიდევ ჰარამხანაო და სხვა. ზოგ დიდ სოფელში ათობით დასთვლით ამისთანა კოშკს. ზოგი საკმაო მაღალია. ორი-სამი სართულიცა აქვს.

მივდივართ. არეზ გაღმა შორს თოვლით შეგლესილი მთები მოსჩანს. ვიცი, რომ იმ მთებს იქით ოსმალეთია. მაგრამ ეს რაღაა სამხრეთისკენ ვეებერთელა თეთრად რომ ამართულა? ეს გახლავთ ნოეს კიდობნის მტირთველი, დიდებული არარატი. ჯერ კიდევ შორსა ვართ, მაგრამ მისი უზარმაზარი ძირი ისევ მკაფიოდ მოსჩანს სხვა მეზობელ მთებში, რომ ახლო გეგონება. ძირი მოსჩანს, შუა წელიც, მაგრამ ზემო ნაწილი ბურუსშია გახვეული. ბევრი ვაჰყიტე თვალები, მაგრამ ამაოდ: არარატმა თავისი საუცხოვო მწვერვალი არ მაჩვენა. თავზე ლილასავით ლურჯი ცა დაგვყურებდა, იქ კი მტრედის ფერი ღრუბელი მოგროვილიყო.

პატარა არარატი კი, ასე ჰგონია, შაქრის ვეებერთელა თავიაო, ლარივით სწორად ამართული, თეთრად ლაპლაპებს მზის სხივებზე. მხოლოდ ჯულფიდან რომ გამოვედით, რამდენიმე წუთით თვალი მოვკარ დიდ არარატის მწვერვალს. მაგრამ ჯერ ერთი მეტად შორს იყო და მეორე მაშინ მე მის აღმოსავლეთის ნაწილს ვუყურებდი და მოჩანდა მხოლოდ პატარა არარატი, დიდზე მიყუდებული.

არარატის მთა ჩვენი ძველი ნაცნობია. შორიდან დიდი ხანია ვიცნობთ. შვიდი წლიდანვე გვასწავლიან, რომ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდაო. მე აქ, რასაკვირველია, არ გამოუდგები ამ ზღაპრის ამბავს, მაგრამ ვიტყვი-კი, რომ კარგი იქნება, ლეგენდის ნაცვლად არარატზე რამე ნამდვილი ამბავი მოგვითხრონ ხოლმე. ეს ბუმბერაზი ბევრი მხრივ არის საინტერესო და შესანიშნავი.

არარატს სომხები „მაზოის“-ს ეძახიან, რაიც ნიშნავს დიდებულს, ხოლო სპარსელები „კუჰი-ნუხ“-ს—ნოეს მთას. არარატს უჭირავს ძირში 1020 ოთხ-კუთხი კილომეტრი და სხვა მთებისაგან განცალკევებითაა ამართული, ე. ი. სხვა მთებისაგან ღრმა ხევებით იყოფა. არარატს აქვს ორი შაქრის თავის მსგავსი მწვერვალი. დასავლეთისას ჰქვიან დიდი არარატი, აღმოსავლეთისას—პატარა. მათ შორის საკმაო მაღალი ქედია, რომელსაც ვერსნახევრამდე სიმაღლე ექნება, სიგრ-

*) იხ. „დროება“, N 127

დადგა, რომ ცვარი წვიმა არ გადმოვარდნილა, რის გამოც ნათესი მიწას არ აშორებიყო. ბოლო ხანებში კი წვიმამ მოუხშირა. სოფლელების ლაპარაკით, ეს წვიმა ნახევრად მაინც გამოაცოცხლებს დამწვარ დახარშულ პურსა და სიმინდს. **უიმედო.**

—

**თელავი.** აქაურ ხელოსანთა შორის ყველაზე დიდი თერძის ამქარია. ამათ ჰყავთ თავიანთი უსტაბაში და ამორჩეული კაცები, რომელნიც განაგებენ ამქრის საქმეებს. ამქარს საერთო შემოსავალიცა აქვს სხვა და სხვა წყაროებიდან, რომელიდანაც წლის ბოლო კარგი თანხა დგება და რიგიანად რომ ჰქონდეთ მოწყობილი საქმე, ამ ფულით ბევრი სასარგებლო საქმე შეიძლებოდა გაკეთებულიყო. ამის ნაცვლად, როგორც ეს, ისე სხვა ამქრები ამ ფულს ქეიფს და დროს გატარებაში ჰფლანგავენ.

როგორც ყველას, თერძის ამქარსაც წესად აქვს მაისში, სამღვთოხ სახელით, სადილების გამართვა და 3—4 დღე ქეიფი. საზოგადოდ სამღთო, ე. ი, მსხვერპლის შეწირვა და წირვა-პარაკლისის გადახდა ხსნიდში ხდება ხოლმე, წელს-კი მთელი თვე გაიყვანეს და მაისის ბოლოში გამართეს, ესე იგი მარხვაში, რასაც როგორც გადმოგვცეს, ქართველ ხელოსანთა უმრავლესობა წინააღუდგა თურმე და სამღვთოში აღარ წავიდა. ამქარს-კი იმათთვის, ვისაც სადილში მონაწილეობა არ მიუღია, ორ-ორი მანეთი დაუჭერია იმ ფულიდან, რომელიც საამქრო თანხიდან ერგებოდათ. **—ძე.**

# ოსმალეთი

**მუსულმანთა დასახლება მაკედონიაში.**

ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ბოსნიიდან და ბოლგარიიდან გადმოასახლოს 250 ათასი მუსულმანი და მაკედონიაში დაასახლოს. ამით მთავრობა ჰფიქრობს მაკედონიაში მუსულმანთა რიცხვის გამრავლებას და სლავიანთა მოძრაობის შეზღუდვას.

**ალბანია ავტონომიას თხოულობს.**

ბოლოს დროს ალბანელებმა, აგიტატორების ჩაგონებით, ავტონომია მოითხოვეს. მთავრობა მზადაა ალბანელების თხოვნა შეასრულოს, რადგან წინაამდეგ შემთხვევაში დიდი ჯარის გაგზავნა დასჭირდება ალბანიაში აჯანყების ჩასაქრობად.

**საბერძნეთი საომრად ემზადება.**

ოსმალეთის ელჩი იუწყება ათინიდან, რომ საბერძნეთი გ. ჩქარებით ემზადება საომრადაო.

# სპარსეთის ამბები

**გერმანიის იარაღის დაჭერა.**

რევოლიუციონერებმა კაზვინში დაიჭირეს ყუთ. ბი იარაღით, რომელიც ფოსტას მიჰქონდა გერმანიის საელჩოსთვის. რუსის კონსულმა მოითხოვა ამ იარაღის დაბრუნება, მაგრამ კაზვინის ენჯუმენმა უარი უთხრა იმ საბუთით, რომ ყუთებზე გერმანიის ღერბი არაა დასმულიო.

**თეირანზე გალაშქრება.**

შაჰის მთავრობა ძლიერ დაალონა იმ ცნობამ, რომ სარდარ-ასადი ჯარს აგროვებს ისპაჰანში თეირანზე გასალაშქრებლადო. სარდარ-ასადს იცნობენ, როგორც გაბედულ და მედგარ კაცსა. ინგლისისა და რუსეთის საელჩოების გაფრთხილება მან არად ჩააგდო და ბრძანება გასცა, ჯარმა დაუყოვნებლივ გაილაშქროს თეირანზეო. 9 მაისს თეირანში ცნობა მიიღეს, რომ სარდარ-ასადის მოწინავე რაზმი, რომელშიაც ითვლება ათასი მშვენივრად შეიარაღებული ცხენოსანი, ქაშანში მოვიდაო. სარდარ-ასადის მოქმედებამ ძლიერ აღაფრთოვანა კაზვინელი რევოლიუციონერები. ბახტიარებსა და კაზვინელ რევოლიუციონერებს შორის დიდი მოლაპარაკებაა გამართული ტელეგრაფით.

**როდის გაიხსნება მეჯლისი.**

მეჯლისი გაიხსნება მომავალ აგვისტოს პირველ რიცხვებში. გამოცხადებული იყო, რომ მეჯლისი მაშინვე გაიხსნება, რა წამს 40 დეპუტატი ჩამოვა თეირანშიო. ეს რიცხვი ძლიერ მცირედ ჩათვალეს კონსტიტუციონალისტებმა და ამის თაობაზე პროტესტი გამოაცხადეს. ამიტომ შაჰმა ეს რიცხვი 60-მდე გაადიდა.

**რუსის კონსულის დაკმაყოფილება.**

როგორც დეპეშიდან ვიცით, ქალ. ბუშირის რუსის კონსულს, გზაში მიმავალს, შირაზში 7 ივნისს ვილაცებმა თოფი დიუშინეს და ცხენები დაუხოცეს. კონსულის მოთხოვნით, შირაზის გუბერნატორმა ათასი თუმანი უნდა გადაუხადოს კონსულს დახოცილ ცხენებში. ამას გარდა დასაჯეს ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი, რომლებმაც არ მიიღეს ღონისძიება რუსის კონსულის დასაცველად.

**სპარსელ ყაზახის დაჭრა.**

8 ივნისს თეირან-კაზვინის გზაზე კერეჯის ხიდზე თოფი ესროლეს მოდარაჯე ყაზახს. ჰფიქრობენ, რომ კაზვინიდან მოსული რევოლიუციონერები ესროდნენ ყაზახსაო. მთელი არე-მარე გაჩხრიკეს, მაგრამ მაინც ვერავინ დაიჭირეს.

**სპარსელ რევოლიუციონერების დელეგატები პარიზში.**

რუსეთის მთავრობის გაზ. „როსსია“-ს კორესპონდენტი პარიზში უსაუბრნია სპარსელ რევოლიუციონერების დელეგატებთან, რომლებიც სათარ-ხანმა ევროპაში გაგზავნა დახმარების სათხოვნელად შაჰისა და რუსეთის წინააღმდეგ. ერთ-ერთ დელეგატს, ხელობით ექიმს, მირზა-აბდულ-ხანს უთქვამს:

„ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს შევჩივლოთ ევროპის საზოგადოებას, რომელმაც იქნება განსაცდელი ააცდინოს ჩემს სამშობლოს. საქმე იმაშია,—გულახდით გეტყვით,—რომ რუსის ჯარის შემოსვლამ სპარსეთში ლამის მთლად გააქარწყლოს მთელი ჩვენი მეცადინეობა და ჩვენში ისევ ძველი თვითმპყრობელობა აღადგინოს.

— მოითმინეთ. რამდენადაც ვიცი, არც საფრანგეთის მთავრობა და არც პარლამენტი სულაც არ აპირებენ სპარსეთის საქმეებში ჩარევას, უთქვამს კორესპონდენტს.

— იქნება პარლამენტის ერთს ნაწილს არ უნდოდეს ჩვენ საქმეებში ჩარევა, მაგრამ პარლამენტის დიდი უმეტესობა სოციალისტებთან ერთად სრულს დახმარებას დაგვპირდა და დარწმუნებულიც ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ ჩვენსას გავიტანთ და შაჰს რუსეთში გავაგდებთ. ჩვენ ყველამ ძლიერ კარგად ვიცით, რომ რუსის ჯარის შემოსვლა,—ეს შაჰის საქმეა, იგი მზადაა მთელი ადერბეიჯანი გადასცეს რუსეთს, ოღონდ ხელში ჩაიგდოს და მარგილზე ჩამოაცვას სათარ-ხანი და ყველა მისი ამხანაგი, რომლებმაც მის წინააღმდეგ ბრძოლა გაბედეს. თქვენ გგონიათ, რომ შაჰს რიცხვი შეაშინებს, სულაც არა, თითონ თავის ხელით ხომ არ დასჯის; მადლობაა ღმერთს, საქმე იყოს, თორემ ჯალათები საკმაოდა ჰყავს.

ამის შემდეგ მირზა-ხანმა განაგრძო: მთელს სპარსეთს, ისე როგორც ერთს კაცს სძულს შაჰი და ეხლა ყოვლად შეუძლებელია შერიგება. ორში ერთი, ან შაჰს გავაგდებთ, ან არა და ხალხი თავის ჯავრს უცხოელებზე ამოიყრის. ჩვენ უკან არ დავიხევთ, გინდ რუსებს გარდა ინგლისელებიც მოვიდნენ. სანამ თოფის ხმარება და ფეხზე დგომა შეგვეძლება, ჩვენ მედგრად ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ვეღარავის დახმარება ვეღარ უშველის შაჰსა და ჩვენ აქ მოველით ერთად ერთის აზრით: ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ევროპის საზოგადოება, რომ იმ ბანკებმა, რომლებიც ფულს ასესხებენ შაჰს, შეიძლება ეს ფული უკან აღარ მიიღონ. სპარსეთში ყოველმა ბალღმა იცის, რომ შაჰი თავის ხალხის მტერია და რომ ფულს იგი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომებს. არ გეგონოთ, რომ სპარსეთის ხალხი ისეთი უვიცი იყოს, რომ ვერ გაიგოს, რაშიაცაა საქმე. არა, შაჰს ურჩევნია, რუსეთში გადასახლდეს სადმე, მაგალითად ტფილისში და იქ კერძოდ იცხოვროს. იგი ამ შემთხვევაში ცოცხალი მაინც დარჩება, თორემ...

აქ მირზა-ხანმა ყელზე მოისვა ხელი... მერე გაიხსენა გენ. სნარსკის რაზმი და განაგრძო: ჩვენ გვინდა კარგი განწყობილობა ვიქონიოთ რუსეთთან, ხოლო გენ. სნარსკის ყოფნამ თავრიზში და მისმა საეჭვო მოლაპარაკებამ შაჰთან ყველას შეაძულეს რუსეთი. ინგლისელები ხელად მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად მიდიოდა და მაშინვე გაიყვანეს თავიანთი ჯარი. გარწმუნებთ, რომ თუ რუსებიც ამნაირადვე მოიქცევიან, ეს იქნება მხოლოდ სამართლიანი მოქცევა სპარსეთთან. მამედ-ალი-შაჰი ხომ მუდამ ცოცხალი არ იქნება, ხოლო სპარსეთის ხალხი კი გუშინ როდი გაჩნდა ქვეყანაზე.

— მაშ, თქვენ იმედი გაქვთ, რომ თქვენი მეცადინეობა გამარჯვებით დაგვირგვინდება და საფრანგეთის მთავრობა დაგეხმარებათ?

— საერთაშორისო პოლიტიკაში თვით უწმიდეს რწმენის პატრონებიც კი იძულებულნი არიან ხოლმე ანგარიში გაუწიონ მიმდინარე მომენტს. ჩვენ ვცდილობთ, როგორც უკვე გითხარით, რომ შაჰს ფული არავინ ასესხოს და დახმარება არ გაუწიოს, რადგან იგი ფულსაცა და დახმარებასაც განსაკუთრებით ხალხისა და მაშასადამე კონსტიტუციის წინააღმდეგ მოიხმარს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ შაჰი ეცდება ნაბოძებ თავისუფლების წართმევას და მამა-პაპათა წესების აღდგენას. იმდენად ბეცია, რომ არ ესმის, რომ ეხლა ვანდაა და ამაზე ფიქრიც-კი საშიშია. ჩვენ გვყავს მეზობელი, ჩვენის სჯულის სახელმწიფო—ოსმალეთი, რომელიც უეჭველად გვიშველის, გინდ ამაზე ომიც მოუვიდეს რომელსამე დაინტერესებულ სახელმწიფოსთან. ყველანი ფიქრობენ, რომ ოსმალეთს, შინაგან არეულობის გამო, არ შეუძლიან იარაღით დაცვა მუსულმანთა წმიდა უფლებისაო. ეს დიდი შეცდომაა! თუ დაჰკრავს ესეთი საათი, ყველანი უკლებლივ, დიდი თუ პატარა, გავლენ ბრძოლის ველზე და ვაი ბნელის მოყვარეთ, ვაი ყველას, ვინც ან ვერ მოახერხა და ან არ მოინდომა დროზე თვალის ახილება, დაე იცოდნენ ევროპიელებმა, რომ სანამ ცოცხალია გინდ ერთი სპარსელი ან გინდ ერთი მუსულმანი, ჩვენ ნებას არ მივცემთ რუსის გენერლებს, რომ მათ ჩვენი ქვეყნის ბედი განაგონ. სჯობია, მოთმინებიდან არ გამოგვიყვანონ!..

# უცხოეთი

**„ვუდბერნ“-ის კაპიტნის მოხსენება.**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ იმპერატორების შეხვედრის დროს ფინლანდიის შხერებში ერთი მეტად სამწუხარო ინციდენტი მოხდა. რუსის სამხედრო გემებმა, რომლებიც იმპერატორის იახტა „შტანდარტ“-ს ახლდნენ, უმიზეზოდ ესროლეს ინგლისის სავაჭრო გემს „ვუდბერნ“-ს, რომელიც თურმე პირდაპირ „შტანდარტ“-ისკენ მიდიოდა: „ვუდბერნ“-ის კაპიტანს მოუხსენებია ინგლისის მთავრობისთვის:

„ზღვაში რომ გავდიოდი, ერთმა რუსის სამხედრო გემმა გზა შემიკრა; ამიტომ იძულებული ვიყავ, გზა ამექცია მისთვის და ამასობაში შემთხვევით „შტანდარტ“-ისკენ გავემართე“.

**გადასახლებულ ირლანდიელების დაბრუნება სამშობლოში.**

ირლანდიიდან დიდძალი ხალხია გადასახლებული ამერიკასა, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ირლანდიელების უმეტესობა ამ ჟამად სულ სამშობლოს გარეთ ცხოვრობს: როდესაც თითონ ირლანდიაში ბევრი-ბევრი 5 მილიონამდე სული ითვლება, მარტო ამერიკაში ცხოვრობს 10 მილიონამდე ირლანდიელი. გადასახლებული ირლანდიელები დიდ როლს თამაშობენ უცხო ქვეყნებში, ბევრმა მათგანმა დიდი სიმდიდრე შეიძინა, ბევრმა უმაღლესი სოციალური მდგომარეობა მოიპოვა, მაგრამ არც ერთს მათგანს, სადაც უნდა ცხოვრობდეს და რა ყოფაშიაც უნდა იყოს იგი, არა დროს არ ავიწყდება თავისი სამშობლო, საიდანაც განდევნა იგი ან თითონ, ან მისი მამა-პაპა მრავალმა პოლიტიკურმა და სოციალურმა უსამართლობამ. საოცარია სწორედ ეს ჩაუქრობელი სიყვარული ირლანდიელებისა სამშობლოსადმი. ყველა გადასახლებული ირლანდიელი, გინდ იგი სამშობლოს გარედ იყოს დაბადებული და ირლანდია არას დროს თვალით არ ენახოს, მაინც გულწრფელადაა დარწმუნებული, რომ ირლანდიასთან მშვენიერი ქვეყანა მთელს დედამიწის ზურგზე არსად არსებობსო.

ამ დღეებში ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდა შემდეგი ცნობა: 50 ათასი ირლანდიელი, ამერიკაში გადასახლებული, რომელთაგან უმეტესობა ამერიკაშივეა დაბადებული, მომავალ წელს ირლანდიაში მოსვლას აპირებსო. რამდენიმე გამოჩენილმა ირლანდიელმა ვაშინგტონში საგანგებო თათბირი მოახდინეს და დაადგინეს, დაეარსოთ „ერთგულთა ორგანიზაცია“ იმ აზრით, რომ ამერიკელ ირლანდიელებს გაუადვილოთ მოგზაურობა სამშობლოშიო. ცნობილ ირლანდიელს რიჩარდ კროკერს ძლიერ მოეწონა ეს აზრი; მან გამოუცხადა თავის თანამემამულეებს, რომ ირლანდია ამ ჟამად გაცილებით უფრო კარგ მდგომარეობაშია, ვიდრე წინად იყოო. ამას გარდა, რიჩარდ კროკერს კარგა ხნის წინ ეთქვა: ამერიკელი ირლანდიელები მოვალენი არიან არა თუ მარტო სამშობლოს სანახავად წავიდნენ, არამედ იქ უნდა დასახლდნენო. კროკერი დარწმუნებული იყო რომ ბევრი ამერიკელი ირლანდიელი შეასრულებდა მის რჩევას. [illegible] ირლანდიელ[illegible] შემდეგ [illegible] ერდებოდა.

მეორე გამოჩენილმა ირლანდიელმა ფრენსის კიდკენმა, ამ მოძრაობის ნამდვილმა მეთაურმა, ამ დღეებში კრებაზე მოიწვია ერთგულ ორგანიზაციის მოდვაწეები, რომლებმაც აცნობეს კიდკენს, რომ 50 ათასი ირლანდიელი 1910 წლის აგვისტოსა და სექტემბერში სამშობლოში აპირებს წასვლასო.

მეგემეთა ამხანაგობები დაჰპირდნენ ირლანდიელებს, ძლიერ იაფად გადაგიყვანთ, რადგან აგვისტოსა და სექტემბერში ევროპაში მიმავალი გემები მომეტებულ ნაწილად ცარიელები მიდიანო.

ირლანდიაში სანახავად წასვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია შეერთებულ შტატების ირლანდიელებში, რომლებმაც ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად ყველგან კრებები გამართეს. გამოჩენილი ირლანდიელები ყველა მხრიდან აღტაცებით გზას ულოცვენ სამშობლოს სანახავად მიმავალ ირლანდიელებს. ჰფიქრობენ, რომ ყოველ წლის ირლანდიის სანახავად მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა ექნება ირლანდიის ერის განვითარებისთვისაო. იმედი აქვთ აგრეთვე, რომ სანახავად წამოსულთაგან ბევრი სამუდამოდაც დარჩება ირლანდიაში.

# ეკნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებად.**

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო:

ყაზახიდან ბლაღოჩინ ლაზარე ნათიძის მიერ შეგროვილი 18 მ. 50 კაპ.

სია შემომწირველთა: მიხეილ კობიაშვილი—3 მან., ტრიფონ მიქაბერიძე—1 მან. 50 კაპ., ანეტა, მიშა და გიორგი ნათაძეები—2 მ., სოლოშან ყანჩელი, იოსებ ჯანელიძე, სტეფანე ფალიაშვილი და გიგლა და მათე მირიანაშვილები—ორ-ორი მან., ალექსი კოკლელაშვილი, ერთი ქართველი, პავლე გოცირიძე და პავლე კიგვაძე—თითო მან.

ქალაქ სარატოვიდან დავით ლიბჟანიძის მიერ—14 მან.

სია შემომწირველთა: И. Ц.—5 მან., ი. მ.—3 მ., დათიკო ლობჟანიძე—3 მან., ნ. ლ-ე—2 მან., გ. კალატოზოვი—1 მან.

„ჩვენი აზრის“ რედაქციამ გადმოგვცა 139 მან. 29 კაპ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო იმავე გაზეთის №№ 20, 21, 23.

ბალახანიდან კნ. ეკ. მ. ლორთქიფანიძისაგან—71 მან. 20 კაპ.

შემომწირველთა სია: კ. ტ. ლორთქიფანიძე—5 მან., ი. ს. მდივანი—5 მან., სტეფანე ლეჩკაშვილი, ბიქტორ მიქელაძე, მეიფარიანი, ქ. ახვლედიანი, თადეოზ აგლაძე, ნასიძე, ა. ელიავა და ა. გ. ქვენია—ორ-ორი მან., რეზიკო და პიძინა ახვლედიანები —1 მ. 50 კაპ., ვ. აჯანელიძე, ა. ნემსაძე, ს. გ. დალაქოვი, ჯიჯოშვილი, ბ. ც. ლორთქიფანიძე, ი. ა. კანდელაკი, მ. აბდუშელიშვილი, რ. ნიჟარაძე, დარისპან მამარდაშვილი, მ. ხევსურიანი, კ. ჩიკვაიძე, გ. ბოკერიძე, ლანდია, საშა ბერელაშვილი, ალ. პინჩარაძე, ალ. გოცირიძე, „გურდჯაანი“, ტატიშვილი, ბოლქვაძე—თითო მან., კვიტაშვილი—1 მ. 5 კაპ., ანდრო შაფათაშვილი, ალ. ჯოჯუა, არტემ ლომთათიძე, ანტიფოზ ჯინორიძე, გიორგი გოცირიძე, ლიზა გოცირიძისა, ვლადიმერ ლომია, არშაკ ბაინდუროვი, ნესტორ ნეფარიძე და გ. ქავთარაძე—თითო მან., ა. გოლიაძე, ვ. ჩუმბურიძე, გალაქტიონ დუგლაძე, ტ. დოგონაძე, კო, მელიტონ ნაცვალოვი, ი. ნ. ოგანეზოვი, ზაქარია ლონთაძე, მ. სანაძე, გ. გოცირიძე, თ. გოცირიძე, სოლომონ გელოვანი, ბ. შაფაქიძე, ფ. კაჩეიშვილი, ს. საგანელიძე, ირაკ. გიგინეიშვილი, დათიკო ჩიკვაიძე, ი. ანთაძე, ს. მახარაძე, ნ. ვაჩეიშვილი, ილია ვიორგაძე, ლ. აბდუშელიშვილი და ს. პანიშვილი—ათ-ათი შაური; ივანე ბერიძე და გიორგი მათიაშვილი—თითო აბაზი, ალ. მეფარიშვილი 25 კაპ.

ქიათურიდან ა. ნაცვალაძისაგან—22 მ. 60 კაპ.

სია შემომწირველთა: მ. ტყემალაძე—50 კაპ. გ. გოხიძე—30 კაპ. ვ. ოსიძე—25 კ., გ. შეყლაშვილი, ა. შეყლაშვილი, რ. შეყლაშვილი, დ. გძელიშვილი, ს. იაკობიძე, გ. გოგილავა, ი. კონტრიძე, ი. ქორიძე, ს. გიორგაძე, ქ. ჰკუსელი, ტ. ვადაჭკორია, ს. შარეიძე, ი. ცაბაძე, რ. ჩხაიძე თითო აბაზი. ს. გაბედავა და ნ. ბალანჩივაძე ათ-ათი შაური. ს. ხომახიძე, პ. კახიძე, ტ. დეისაძე ნ. კურტანიძე, მ.

---

ძე-კი ათ ვერსამდეა. დიდ მწვერვალზე თოვლი ზამთარ-ზაფხულ არა დნება, პატარა კი ზაფხულობით თოვლისაგან თავისუფალია.

არარატი ტიპიური ვულკანია და თუმცა ამ დროებით არ მოქმედობს, მაგრამ მისი ერთ დროს მოქმედების კვალი კი ძლიერ ბევრია მიდამოში. ისტორიულ ხანაში არარატის მოქმედებაზე ძლიერ ცოტა ცნობა მოიპოვება.

ედესის ეპისკოპოსის წმ. ეფრემის სიტყვით, 341 წელს ქრისტეს შემდეგ სომხეთში დიდი მიწის-ძვრა მოხდა. მთები ჯერ განშორდნენ ერთმანეთს, მერე მიუახლოვდნენ საშინელის ჰახუნით და მათის გულიდან ბოლი და ალი ამოვიდაო. უეჭველია ამ შემთხვევაში არარატი მეორე ხარისხოვან როლს არ ითამაშებდა. 1319 წელსაც მოხდა დიდი მიწის-ძვრა. არარატის არე-მარეში ბევრი სოფელი და ქალაქი დაიქცა. სხვათა შორის, მაშინ დაიქცა დიდი ქალაქი ანი. არარატმა თავი მოკლე დროშიაც არ დაავიწყდა ქვეყანას. 1840 წელს მოხდა საშინელი მიწის-ძვრა. არარატს მოსძვრა უზარ-მაზარი ზვავი თოვლისა და ქვისა და მთის ძირში მდებარე სოფლები გაანადგურა. მორ ვაგნერს (სწავლული მოგზაური, გარდაიცვალა 1887 წ.), რომელმაც ინახულა არარატის მიდამოები, ამ უბედურების შემდეგ ეს შემთხვევა წმიდა ვულკანურ მოვლენად მიაჩნია. აი როგორ აწერს ამ მოვლენას ვაგნერი:

„1840 წელს 20 თიბათვეს მზის ჩასვლის წინ თითქმის მთელი სომხითი შეაშინა საშინელმა ქუხილის მსგავსმა გრგვინვამ. გრგვინვა ყველაზე უფრო საგრძნობელი იყო დიდ არარატის მახლობლად. თითქმის ორი საათი ქანაობდა ტალღასავით დედამიწა. დიდი უბედურება დატრიალდა, განსაკუთრებით შარურის და ნახიჩევანის მაზრებში. წმ. იაკობის ველის ბოლოს, არგურიდან 6 ვერსტის მანძილზე, გაჩნდა დიდი ნაპრალი, საიდანაც ორთქლი და გაზი ამოდიოდა. თან ქვებსა და მიწას ისროდა. ორთქლი არარატის წვერამდი უწევდა. ამოდიოდა თუ არა ნაპრალიდან ცეცხლის ალი, დანამდვილებით ვერ შევიტყვე. თვალით მნახველებმა ამაზე გადაჭრილი პასუხი ვერ მომცეს. მიწის ქვეშიდან საშინელი ჰახუნი და გრიალი ისმოდა. დიდი ქვები იქვე ვარდებოდნენ, პატარები შორს მიგორავდნენ. როცა ორთქლის დენა შესწყდა და ქვის წვიმამაც გადიარა, ადამიანის თვალს საშინელი სურათი წარმოუდგა. არსად სჩანდა არც დიდი სოფელი არგური, არც დიდებული მონასტერი, არც მინდვრები, არც ბაღები. არარატის მიერ ამონასროლ ქვის ქვეშ დაიღუპენ მცხოვრებნიც. მთელ დიდ სოფელში დარჩა ცოცხალი მხოლოდ 114 სული. ნახიჩევანის, შარურის და ორდუბათის მაზრებში მიწის ძვრამ მაშინ დააქცია 6,000 სახლზე მეტი. გავიდა ოთხი დღე არარატის ამ საშინელ ამოხეთქის შემდეგ და დატრიალდა მეორე უბედურება. იმ ადგილას, სადაც გაჩნდა დიდი ნაპრალი და საიდანაც ორთქლმა და ქვამ ამოხეთქა, გაკეთდა დიდი და ღრმა ამოქვაბული, რომელიც დამდნარ თოვლისა და წვიმის წყლით აავსო და ამ ნაირად გაჩნდა ტბა. შიგ ჩარეცხილ ქვისა და თიხისაგან საკმაო მაგარი ზღუდე გაკეთდა, რომელიც კარგა ხანი იმაგრებდა მიტ წყალს, მაგრამ ახალ ახალ მოწოლილ წყლის ძალას ვერ გაუძლო და ზღუდე გაირღვა. ტალახ ნარევმა წყალმა და თხელმა ტალახმა გადმოხეთქა მთის ფერდობებზე, ქვემოდ დაეშვა, მდ. კარასუს შეუერთდა და ალაგ-ალაგ გაჰგუბა კიდეც ეს მდინარე. გზაზე რაც შეხვდა ამ თავისებურ ნიაღვარს, ყველაფერი გაანადგურა. თან მიჰქონდა ხეები, დამხრჩვალი ადამიანები, ქვები... ამ არე მარეში ბევრ ხანს გავლა ვერავის შეეძლო: ტალახისაგან დიდ მანძილზე გაკეთდა ღრმა და გაუვალი ჭაობი. თითქმის პირველ ჟამს ფრინველებიც ახლო ვერ ეკარებოდნენ ამ ადგილს, სანამ ცოტ-ცოტად ჭაობი არ გამაგრდა და თან-და-თან არ გახმა *).

ასეთი საქმე ქნა არარატმა თითქმის ახლახან და ჩვენ-კი არარატი მხოლოდ ნოეს მყუდრო ნავთ-საყუდელი გვგონია. მომავალშიაც არ დაივიწყებს ალბად ქვეყანას მისი აბობოქრებული გული. უფრო გულ-საკლავი და დამაღონებელი ის არის, რომ ამნაირ მოვლენასთან ადამიანი ყოვლად უძლური და უმწეო არსებაა. ნოეს კი არა, მათუსალასაც რომ მოუწოდო, ვერ გააჩერებს მის აბობოქრებულ გულს, ერთხელ თუ აიშალა.

გვჯიარაეთ სადგური ეჩმიაძინი, საიდანაც თვით მონასტერი შაშვის თავის ოდენა ძლივს მოსჩანს (12 ვერსია) და მივედით ულუხანლუში. ყრაქსიდან ულუხანლუმდე 42 ვერსია.

*) Неймайръ: „Исторія земи“, 33. 228.

სად. ულუხანლუ ისეთ როლს თამაშობს ჯულფის გზაზე, როგორსაც რიონი ფოთის გზაზე. აქაც ერევანს ის მოსვლია, რაც ქუთაისს მოუვიდა. რამდენიმე კერძო პირის ინტერესმა და გავლენამ რკინის გზის გაყვანის დროს ქუთაისი განზე დასტოვა, მიუხედავად იმისა, რომ გზა უფრო გამრუდდა. აქაც ამნაირი ისტორია განმეორებულა და უფრო უარესიც, როგორც გარდმომცეს.

ულუხანლუდან შტო მიდის ერევნამდე, მაგრამ ერევანი იმ ერევნობას ვეღარ გასწევს, რასაც მაშინ გასწევდა, როცა ტფილის-ჯულფის გზა პირდაპირ მასზე გაივლიდა. ულუხანლუში სხვა მატარებელში გადავსხედით, და ერევნისაკენ გავსწიეთ. ულუხანლუდან ერევნამდე 13 ვერსია. ულუხანლუ გზა-ტკეცილობის დროსაც ფოსტის სადგური იყო. ზევითაც მოვიხსენიეთ, რომ ის გზა-ტკეცილი, რომელიც ტფილისიდან ყარსამდე მიდის, დელეჟანთან ორად იყოფა. ერთი შტო კარაკლისით და გუმბრით ყარსში მიდის, ხოლო მეორე გელაქნურის გზისკენ. სოფ. ელენოვკასთან (ტბასთანაა) გზა-ტკეცილს ახალ-ბაიაზეთისკენ მიმავალი შტო გამოეყოფა, ხოლო მთავარი გზა-ტკეცილი ერევნისაკენ გრძელდება.

ერევანი გაშენებულია იქ, საცა ჩვენ მიერ მოთხრობილი ველი ყურეს მსგავსად სოლივით შეჭრილია მთებში, მდ. ზანგას ნაპირზე; ასე, რომ ერევანი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საკმაო მაღალ მთებითაა შეზღუდული, დასავლეთითაც გორაკები აქვს აფარებული, ხოლო სამხრეთით ხელის გულივით გაშლილი ადგილია. **უიარაღო**

კუპატაძე, ე. ჯალაღანია და კაშია—ექვს-ექვსი შაური. დ. ბარკალაია, ლ. ბუაძე. კ. ტოფაძე, დ. ხვიჩია ხუთ-ხუთი შაური. ნ. დამენია, ნ. ახალაძე, ა. კაკაბაძე, ნ. ზაქარეიშვილი, პ. შალამბერიძე, ი. ბაიდაური, რ. იმერლიშვილი, ბ. კალანდაძე, ვ. გოგალაძე, ვ. ლომიძე, რ. ნადირაძე, ა. ვაჩეიშვილი, ზ. სვანიძე, ს. ე. ფირცხალავა, რ. ბახტაძე, ა. ჯულხაძე, ლ. ზაქარეიშვილი, მ. ლომსაძე, ი. ზაქარეიშვილი, პ. ზაქარეიშვილი, ე. ცხომელიძე, ვ. ჯამბურიძე, ა. ფირცხალავა. ვ. სხირტლაძე, ი. მელქაძე, ფ. გიორგაძე, მ. ვაშაძე, დ. ხოხიაშვილი, გ. გელაშვილი, რ. ნეფარიძე, ლ ჯიშკარიანი, თ. თელია, მ. სტურუა, ბ. სუპატაშვილი, ი. ბურყაიძე, ი. ზაქარეიშვილი, დ. კუტალაძე და ო. ზაქარეიშვილი თითო აბაზი. ვ. ჰოხონელიძე, ს. ოთინაშვილი და ლ. მიქაბერიძე—სამ-სამი შაური. ი. ფაცაცია, ვ. თვარელიძე, ი. კახაძე, ს. გელაშვილი, კ. ხეიძე, გ. გ. ფილიევები, ი. ჰოხონელიძე, ნ. ს. შეყლაშვილები, ს. ხარჩილაძე, გ. ვაჰრიძე, მ. ხარჩილაძე, მ. თვარელიძე, ლ. ნადირაძე, ვ. მოდებაძე, ვ. ტყეშელაშვილი, დ. ლომიძე, ზ. სისვაძე, ვ. ხადირაძე. ვ. კვინიკაძე, გ. ლომიძე, კ. დუნდუა, ი. გამეზარდაშვილი, ს. ხიმრბალაძე, ი. ნოზაძე, გ. ბაბაევი, თ. ჩოგოვაძე, ვ. ხასიევი, ი. ზაქარეიშვილი, ფ. ჩიხლაძე, მ. ზაქარეიშვილი, გ. ქვარდაძე, ვ. გვიდიანი, ნ. ჩუბინიძე, ბ. ბიწაძე, ა. სირაძე, თ. ბიწაძე, ვ. მიხელიძე, ს. კახნიაშვილი, თ. აბულაძე, ა. სოფრომიძე, ვ. გვენეტაძე, ნ. სოფრომაძე, ტ. კუპატაძე, ს. ბედიაშვილი, დ. ჩაფიძე, ს. ჯიშკარიანი, პ. ჯიშკარიანი, ი. ხვედელიძე, ქ. ჰულაყაძე, ვ. ჰელიძე, კ. ჩხაიძე, გ. გოგისაძე, ა. ონიანი, ა. თედორაძე, რ. ხაჰაპურიძე, ი. ლეჟავა, ნ. ნადირაძე და ზ. მურზაშვილი—ორ-ორი შაური. ბესარიონ ჯიქიძე, ს. ამირანაშვილი, ს. სტაჟაძე, გ. ფელიშვილი, კ. მოდებაძე და ლ. მელქაძე—თითო შაური. ნინო შარაშიძისაგან—2. მ. 50 კაპ. სია შემომწირველთა: ო. მეკრელიშვილი 1 მ. 50 კაპ., ნ. ქიქოძე 1 მან.

სულ 268 მან. 9 კ., იყო 966 მან. 74 კაპ. შესდგა 1234 მან. 83 კაპ.

## რუსეთი

**ალექ. სტოლიპინი მინისტრად.** „რუსკ. ზნამ.-“ში ვკითხულობთ: „ალექსანდრე სტოლიპინი ინიშნება საზოგადო მუშაობის მინისტრად“. ალექსანდრე სტოლიპინი „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელია, იგი პრემიერ-მინისტრის ძმაა

**ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ციმბირში.** იუსტიციის სამინისტროს გადუწყვეტია ციმბირში შემოიღოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. „ნოვ. რუსის“ სიტყვით ასეთი სასამართლო ჯერ-ჯერობით ენისეის გუბერნიაში იქმნება შემოღებული, შემდეგ ტობოლის და ტომსკის გუბერნიებში.

**სანამესტნიკოს აღდგენა.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ შორეულ-აღმოსავლეთის სამესტნიკოს აღადგენენ. შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკად ასახელებენ პრიამურის გუბერნატორს უნტერბერგერს.

**სახელმწიფო საბჭო.** გაზეთების სიტყვით სახელმწიფო საბჭოს საზაფხულოდ 12 ივნისს დაითხოვენ.

**ლოპუხინის ბედი.** „რეჩის“ სიტყვით ლოპუხინს ციმბირში აღარ გაგზავნიან. მას ციხეში მოახდევინებენ სასჯელს.

**„პოტემკიონელის“ ტრაგედია.** „ოდესკ. ნოვოსტი“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს „პოტემკინზე“ არეულობის შემდეგ, როგორც ვიცით, მატროსები იძულებულნი გახდნენ რუმინიაში გადასულიყვნენ და იქ დარჩენილიყვნენ. სხვათა შორის რუმინიაში დარჩა „პოტემკინის“ ყოფილი მექანიკი მიხეილ სკობელი. სკობელი ქალაქ კონსტანცში დასახლდა, სადაც სამუშაო იშოვა. ამ ქალაქში ერთმა ქალმა რესტორანი გახსნა. ეს რესტორანი რუს მატროსების საყვარელი ადგილი იყო, აქ სადილობდნენ, ვახშმობდნენ და სხვა. მალე ამ რესტორანში მოსამსახურე ქალად შევიდა ახალგაზრდა ქალი საშა, რომელიც რუსეთიდან იყო ჩამოსული. საშა ისეთი ლამაზი, სახის პატრონი იყო, რომ ბევრმა წინადადება მისცა, ცოლად შეგვირთავთო. საშა ყველას უარს ეუბნებოდა და ბოლოს დასთანხმდა მიხეილ სკობელს. მალე ქორწილიც გადაიხადეს. ახალგაზრდებმა მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კონსტანცის მცხოვრებლებმა გაიგეს... რომ საშამ თავი ჩამოიხრჩოვო. თვითმკვლელობის მიზეზი არავინ იცოდა. მალე იპოვეს საშასგან დატოვებული წერილი. წერილში ეწერა: „შენ უფლება არა გაქვს მიწას მამაბარო, არც როგორც ძმას, არც—როგორც ქმარს“. რამდენიმე ხნის შემდეგ, შემდეგი ამბავი გამოირკვა: მიხეილ სკობელს დედმამა ადრე დაჰხოცია. დარჩენილან ისა და მისი ორი წლის და. სკობელის და გასაზრდელად ნათესავებს წაუყვანიათ. სკობელი მალე ოდესაში ჩასულა. აქ ადგილი ვერ უშოვია, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა და ამის გამო თავის ნათესავთან წერილების მიწერა შეუწყვეტია. მიხეილ სკობელს დიდი ხნის შრომის შემდეგ ჩლესრობა შეუსწავლია და ვემ „პოტემკინზე“ ადგილი უშოვნია. „პოტემკინზე“ არეულობის შემდეგ ის რუმინიაში დასახლდა და საშა ცოლად შეირთო. ერთხელ სკობელს თავის ცოლისთვის უამბნია თავის თავგადასავალი და სხვათა შორის უთქვამს, რომ და მყავდა, რომელიც თვალიდან დავკარგე და აღარ ვიცი სად არისო; ნათესავებს, რომლებმაც გასაზრდელად აიყვანეს ჩემი და საშა წერილი მივწერე, მაგრამ პასუხად ის მივიღე, რომ არ ვიცით სად არისო. საშას ამაზე უცბად დაუკივლია „ვაიმე დავიღუპე, მე ვარ შენი დაო“! სკობელს ძლივს-ძლივობით დაუშოშმინებია საწყალი საშა. ორთავეს ცხოვრება საშინელ ტანჯვად გადაექცა. არ გასულა ამის შესდეგ რამდენიმე დღე და საშამ თავი მოიკლა. თავის უკანასკნელ წერილში საცოდავი საშა თავის ქმარძმას მადლობას უძღვნის კარგად მოქცევისათვის და სთხოვს ჩემს დასაფლავებას ნუ დაესწრობი, დიდი ცოდვააო“.

**სარატოვის უნივერსიტეტი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონპროექტი, რომლითაც სარატოვში უნივერსიტეტი უნდა დაარსდეს. ეს კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაეცა. სახელმწიფო საბჭოს წევრს მ. მ. კოვალენსკის „ბირჟ. ვედ.“-ს კორესპონდენტისთვის უთქვამს, რომ სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ სარატოვში უნივერსიტეტი გაიხსნასო. ჯერ კიდევ საბჭოს კომისიაში ეს კანონპროექტი ძლივს-ძლივობით გავიყვანეთ (18 ხმით წინააღმდეგ 17). კანონპროექტის მოწინააღმდეგეებს ათასნაირი საბუთები მოჰყავთ —ფული არა გვაქვს, ბიუჯეტიც ცუდად არის შედგენილი, ადგილიც ცუდია ამორჩეული, დრო არა გვაქვს უმაღლეს სასწავლებლისთვის ვიზრუნოთ, როდესაც სოფლებში პირველ-დაწყებითი სასწავლებელი არა გვაქვს და სხვაო.

**ქალი—ნაფიცი ვექილი.** 4 ივნის პეტერბურგის სამოსამართლო ოლქის ნაფიც-ვექილების საბჭოს განუხილავს ქ-ნ ფლეიშიცის თხოვნა. ქ-ნი ფლეიშიცი თხოულობს, ნაფიც-ვექილის თანაშემწედ ჩამირიცხეთო. ქ-ნმა ფლეიშიცმა ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა სახელმწიფო ეგზამენი. ნაფიც-ვექილთა საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას 15 ივნისს გამოიტანს.

**სარატოვის ეპარქიის რევიზია.** „რანეე უტრო-“ს სიტყვით სინოდს გადაუწყვეტია რევიზია გაუკეთოს სარატოვის ეპარქიას. ამ ეპარქიაში ეპისკოპოსად ცნობილი შავრაზმელი გერმოგენია. აქვე მოქმედობს „ცნობილი“ მღვდელ-მონოზანი ილიოდორე. ესენი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებად ითვლებიან და საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ მთავრობის განკარგულებას აღარ ემორჩილებიან და როგორც უნდათ ისე იქცევიან ამის შესახებ ადგილობრივ გუბერნატორს და მათ დიდი შეტაკება მოუვიდათ, მაგრამ გერმოგენმა და ილიოდორემ გაიმარჯვეს. რევიზიისგან „ბევრი რამის“ აღმოჩენას ელიან, მაგრამ...

**კრუშევანი.** როგორც ვიცით კიშინევში გარდაიცვალა ცნობილი შავრაზმელი კრუშევანი. „რანეე უტრო“-ს კორესპონდენტს განსვენებულის ცხოვრებიდან საინტერესო ცნობები მოჰყავს, კრუშევანი მთელ თავის სიცოცხლეში სიკვდილისა ეშინოდა, ყველაში და ყველაფერში სიკვდილს ხედავდა, არავის არ ენდობოდა, მომკლავენ, მომწამლავენო. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ თავის გასაკრეჭად და წვერის მოსაპარსავად საპარიკმახეროში არ დადიოდა და თვითონვე ასრულებდა პარიკმახერის როლს. სხვის გაკეთებულ საჭმელს თავის დღეში არა სჭამდა. მას ჰყავდა მზარეული — პოლონელი, რომელიც ყველგან თან დასდევდა. ასე გასინჯეთ პეტერბურგშიაც კი თან მიჰყავდა. რა თქმა უნდა ეს მზარეული დიდი ფული უჯდებოდა კრუშევანს. ამ მზარეულის გარდა ის სხვას არავის ენდობოდა. კრუშევანი ყოველთვის შეიარაღებული დადიოდა. მას თან რამდენიმე რევოლვერი ჰქონდა. სამუშაო კაბინეტში რევოლვერები სტოლზე ეწყო. ძილის დროს რევოლვერები საძილე ოთახში შეჰქონდა ამას გარდა კრუშევანს ყოველთვის თან დაჰქონდა საწამლავი. კრუშევანს 500,000 მანეთი ვალი დარჩენია. ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს ვალებში მის სტამბის გაყიდვა სდომებოდათ, მაგრამ შიშით ვერავის უყიდნია.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში მოთავსებულ ჩვენდამი მომართულ „დია წერილის“ შესახებ დასტამბოთ შემდეგი.

1. „ცნობის ფურცლის“ ფაქტიურ გამომცემელი იყო ქართველთა ამხანაგობა და არა მე; ეს დავთრებიდანაც სჩანს და ისეც ყველამ კარგად იცის ყველა ფული „ამხანაგობის“ კასსაში შედიოდა. და, რომლის ანგარიშებს აწარმოებდა კანტორა.

2. ამხანაგობის საქმეებზე დანიშნული ადმინისტრაცია, რომელიც განაგებს ამხანაგობის საქმეებს. სექტემბერში ამ ადმინისტრაციას მივმართეთ კითხვით დასახელებულ ფულის შესახებ. ადმინისტრაციამ უპასუხა წერილით (დაცვენილი აქვთ ოქმი ამის შესახებ), რომ დასახელებულ თანხაში არის ეს ფული, ხოლო ეს გადახდილი იქმნება „На общемъ основаніи“ ო. მაშასადამე ადმინისტრაციამ შეამოწმა ამ თანხის არსებობა და იკისრა კიდეც გადახდა, ხოლო „საერთო წესით“.

3. რადგან საერთო წესით ამ ფულის გადახდა დაგვიანდება, ამისათვის ჩემის თხოვნით რამდენჯერმე მისცეს ფული ამ თანხიდან და შემდეგშიაც უფრო რეგულიარულად მიეცემათ. ამ ერთი თვის წინად გურულების რწმუნებულს (და არა „ნაცნობ ვექილს“) გადაეცა ნაწილი. ეს ფული გაუგზავნეს კიდეც, სადაც საჭირო იყო. დანარჩენი ფულიც გადაეცემა იმავე რწმუნებულს, რომელსაც აქვს სიები ყველა სოფლის დაზარალებულთა.

4. დიდად ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან დავაკმაყოფილო სურვილი „ნაცნობ ვექილისა“ და ამეხსნა-რამდენი დარჩა ამ თანხიდან. ანგარიშები ჩემს ხელთ არ არის ახლა, მაინც ვეცდები გამოვარკვიო და ვაცნობო, რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებაც ადმინისტრაციამ აღუთქვა პასუხი მიეცემა.

ალ. ჯაბადარი.

—

გაზეთ „დროების“ მე-109 ნომერში მოთავსებულია „პატარა ამბავი“ ყალამშიის სკოლის მასწავლებლის დავით ძეძამიძისა. ბ-ნი ძეძამიძე დიდ შემატკივრობას იჩენს სოფლის მიმართ, მხოლოდ საუბარს თავიდან კი არა, შუიდან იწყებს და აბა მკითხველი სიმართლეს როგორ დაინახავდა. თვით დ. ძეძამიძეს მე არ ვიცნობ და, მგონი, არც ის უნდა მიცნობდეს.

მამი ჩემის მისვენების შემდეგ მოძღვართმოძღვარმა მ. ი. მანსვეტოვმა, ორი მღვდლის და მრევლიდან სამი კაცის დასწრებით, აღწერა სარჩო-საბადებელი, მათ შორის სახლებიც. ყოველ ნივთს და სახლებსაც ფასი დაადო სამმა მოწვეულ კაცმა, თვით ყალამშიის მცხოვრებლებმა: ვასილ დაუთაშვილმა, ექვთიმე ციხელაშვილმა და საზოგადოების მამასახლისმა ნიკოლოზ ბეგდარაშვილმა. ყოველისფერი რომ დაამთავრეს და მღვდელნიც გაბრუნდნენ თავიანთ სამრევლოში, შემდეგ ყალამშიის საზოგადოებამ მთხოვა სახლები მიმეყიდნა. მე დიდის კმაყოფილებით დავთანხმდი. მე რასაკვირველია, ვთხოვე ის ფასი, რომელიც თვით ხალხმა დაადო, მაგრამ ხალხმა ნახევარიც არ შემაძლია და მე როგორც ოპეკუნს, შემეძლო ნაკლებ ფასად მიმეცა;—ერთის სიტყვით, ვერ მოვრიგდით. შემდეგ მე დავადე სახლს კლიტე. გასაღები ჩავაბარე სახლის მეზობელს ალექსი დევნოსაშვილს და დავბრუნდი ერევანში, სადაც მაშინ ვმსახურობდი. ყალამშიისმრევლს მოუვიდა ახალი მღვდელი, აწ განსვენებული მამა კიკნაძე. მე შემდეგ წერილით მაცნობა ა. დევნოსაშვილმა, რომ მოვიდნენ, ქვით კლიტე გასტეხეს და შენს სახლში დააყენეს მღვდელიო. მე, რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩემ სახლში დაუყენებიათ მღვდელი, სასამართლოს, ვთხოვე საზოგადოებისთვის გადახდევინებინა სახლის ქირა. 13 სექტემბერს 1904 წელს დანიშნულ იქმნა საქმის გარჩევა და დაგვიბარეს ორივ მხრით. საზოგადოების მხრით იყვნენ ლევან ლონდარაშვილი, გიგა ციხელაშვილი და მამასახლისი ნიკოლოზ ბეგდარაშვილი, რომელთაც დაამტკიცეს, რომ სახლები ჩემი საკუთრებაა და მათი ქირა ღირს თვეში ათი მანეთი. მოსამართლემაც მოწმების ჩვენებით გადასწყვიტა საქმე.

ბ-ნი ძეძამიძე სწერს, ვითომ მე ერთის პატარა ბარათით ვისარგებლე და იმის შემწეობით სახლი ჩემზე დავიმტკიცე, იმ ბარათით, რომელიც ოფიციალურად არ იყო შემოწმებული. ეს ყოვლად შეუძლებელია. ბარათმა მხოლოდ დაამტკიცა საზოგადოების მხრით მოწმების ჩვენება. აი სწორედ მაშინ სასამართლოში შევხვდი ჩემ მოპირდაპირეს, და სადღა დავემუქრე ხალხს, რომ, ვითომ მეთქვას, ციმბირში გიკრავთ თავსაო!

ავტორი კიდევ იმასა სწერს, რომ მ. ვასილ მაწუვატოვის სარჩო-საბადებელი დარჩა მის შვილს გიორგი მაწუვატოვსაო.. ვის უნდა დარჩენოდა მამის სარჩო, თუ არა იმის შვილებს? ბ-ნ ძეძამიძეს თავისი თავი ხომ არა ჰგონია მამიჩემის მემკვიდრედ!

რადგან ბ-ნ ძეძამიძეს საქმის თავ-ბოლო არ გამოუკვლევია და ისე შეუდგენია თავისი წერილი, ურჩევ მოითხოვოს სასამართლოდან სახლის საქმის შესახებ სრული დოკუმენტები და მაშინ თვით კარგად მიჰხვდება ვინ არის მართალი.

მღვდელი გიორგი მაწუკატოვი.


# განცხადებანი

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10½—11½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.
(100—ნ.—47)

დაბა ახალ-სენაკში
ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით
## იხსნება
ქალების კერძო ოთხ-კლასიანი
## პროგიმნაზია
გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—8)

## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის— საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
**დილით:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**საღამოთი:**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი** (წ.—1—105)

## ძალიან იაფად
იყიდება საბურთალოზე, ახალ ეკლესიის გვერდით მიწა გაშენებულ ბაღით და ხეხილით. შემოღობებული ეკლით 111 ოთხკუთხი საჟენი იყიდება 450 მანეთად. მალე ხიდიც გაკეთდება დიდუბიდან.
იკითხეთ იქვე ეკლესიის გალავანში
**ი. მუსხელიშვილი.** 5—286—5)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაქობს. ყოველ დღე დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ [illegible] N 29 [illegible]

## ბაღი-რესტორანი
ამხანაგობის
## „იმერეთი“-ში
სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დილით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**
სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.
(50—გაჯ.—4)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა
## ნუ რყვნით ქალებს!..
ანუ
**„კაცობრიობის მტერნი“**
შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.
ფასი 65 კაპ.
„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 81, ф. Каминско й.

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასასყიდად დაურიგდათ წიგნის მაღაზიებს
**ვასილ ყიფიანის**
ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად
## სამეგრელოს მთავარი ლევან
**ფასი 40 კაპ.**
ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ. ფულის მაგიერ მარკებიც შეიძლება გამოიგზავნოს.

**გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
წელიწადი მეხუთე. **„ნაკადული“** წელიწადი მეხუთე.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ზუბალაშვილის სახლში N 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში).
**1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის**
მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს
24 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მოზრდილთათვის. 36 სურათი გამოჩენილი მხატვრებისა.
გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: **„რას გვიამბობს ოთახი“**, ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.
ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი.
ნახევარი წლით სამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი.
სამზღვარ-გარედ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით. . . . —4 მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
რედაქტორი **მ. ი. დემურიასი.**
(6—შ.—6) გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**



швеиныя машины „Каизеръ“

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
## მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მანქანებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—43)


სტამბა „ხინათლე“, დიდი ჟანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე